

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/3/1337

ქ. ბათუმი

2020 წლის 29 დეკემბერი

კოლეგიის შემადგენლობა:

თეიმურაზ ტულუში – სხდომის თავმჯდომარე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

თამაზ ცაბუტაშვილი – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოპასუხე მხარის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა და ხატია პაპიძე.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1337) მიმართა საქართველოს მოქალაქე ხათუნა წოწორიამ. კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადაეცა 2018 წლის 31 ივლისს. 2019 წლის 7 თებერვლის №2/2/1337 საოქმო ჩანაწერით №1337 კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. №1337 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომა გაიმართა 2019 წლის 20 სექტემბერს.

2. №1337 კონსტიტუციურ სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლი ადგენს, რომ სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან, საჩუქრის სახით, მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკუთრებისა და



მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება, რომ „საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“.

5. №1337 კონსტიტუციური სარჩელიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ მამისგან მის სიცოცხლეში, კერძოდ, სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში, ჩუქების გზით მიიღო ქონება. თუმცა, მამკვიდრებლის კიდევ ერთი, პირველი რიგის მემკვიდრე, სადავო ნორმის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებში, ითხოვს მოსარჩელისათვის მამის სიცოცხლეში ნაჩუქარი საცხოვრებელი სახლის ღირებულების $\frac{1}{2}$ ნაწილის მის სასარგებლოდ დაკისრებას.

6. მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას და უსაფუძვლოდ ამცირებს იმ მემკვიდრის წილს სამკვიდრო ქონებაში, რომელსაც სამკვიდროს გახსნამდე მამკვიდრებელმა ჩუქებით გადასცა ქონება.

7. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის განმარტებით, სადავო ნორმით, კანონმდებელი არა მარტო იმ მემკვიდრეს ზღუდავს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე 5 წლით ადრე მამკვიდრებელისაგან ჩუქებით მიიღებს ქონებას, არამედ თავად მამკვიდრებელსაც. ამგვარი რეგულაცია აიძულებს მამკვიდრებელს, თავი შეიკავოს სიცოცხლეში თავისი ერთ-ერთი მემკვიდრისათვის ქონების ჩუქებისგან, იმის შიშით, რომ გარდაცვალების შემდეგ ამ მემკვიდრის წილი სამკვიდრო მასაში შემცირდება სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ.

8. №1337 კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ იმ მემკვიდრეთა უფლებები, რომლებსაც მამკვიდრებლისგან ჩუქებით ქონება არ მიუღიათ, დაცულია როგორც ანდერძის არარსებობის პირობებში ქონების თანაბრად განაწილებით, ისე ანდერძის არსებობის პირობებში სავალდებულო წილის მიღებით. შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით, არავითარ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს მამკვიდრებლის და იმ მემკვიდრის დამატებით შეზღუდვა, რომელმაც მამკვიდრებლის სიცოცხლის ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა მამკვიდრებელთან.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებას.

10. მოსარჩელე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

11. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განმარტებით, სადავო რეგულაცია ეხება სამკვიდროს გაყოფის დროს წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს. გასაჩივრებული ნორმა ემსახურება კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის წილთა სამართლიანი განაწილების პრინციპის, შესაბამისად, სხვა თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი დანაწესი მიმართულია ერთი რიგის სხვა კანონისმიერი მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების ადეკვატურად დაცვისკენ, რათა მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში ქონების უსასყიდლოდ განკარგვის შედეგად არ შემცირდეს მათი წილი სამკვიდრო მასაში, რაც საბოლოო ჯამში, ასევე ემსახურება კანონისმიერი მემკვიდრეობის არსის შენარჩუნებას. ამავდროულად, გამოყენებული ღონისძიება არის დასაშვები, აუცილებელი და ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვიწროდ პროპორციული საშუალება.

12. მოპასუხის პოზიციით, კანონმდებელი მოქმედებს დასაშვები საკანონმდებლო პრეზუმფციის ფარგლებში, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელს სურს, თანაბრად მოეპყროს ყველა მემკვიდრეს და არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება მამკვიდრებლის სახელშეკრულებო ნების ავტონომიას და გაუმართლებლად არ ზღუდავს დასაჩუქრებული მემკვიდრის საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას. ამ თვალსაზრისით, იგი ადგენს გონივრულ ბალანსს ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის და თავსებადია კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგთან.

13. მამკვიდრებლის მიერ ხელშეკრულების დადებასა და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრასთან



დაკავშირებით მოპასუხემ მიუთითა, რომ გასაჩივრებული რეგულაციით დადგენილი საკანონმდებლო პრეზუმფცია მას მთლიანად არ უკეტავს განსხვავებულად მოქმედების ასპარეზს. კერძოდ, მამკვიდრებელს ნებისმიერ დროს შეუძლია, ანდერძის შედგენის გზით, არათანაბრად გაანაწილოს ქონება, მათ შორის პოტენციურ კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის. ხოლო, თუ იგი არ იყენებს ამ შესაძლებლობას, ივარაუდება, რომ მამკვიდრებელი ამგვარი მოწესრიგების პირობებში წინასწარ ავლენს სამკვიდრო მასიდან რაიმე ნივთის ერთ-ერთი კანონისმიერი მემკვიდრისათვის, ჩუქების გზით საკუთრებაში გადაცემის ნებას, რაც შემდეგში, წილთა თანაბრობის პრინციპის დაცვის საფუძველზე, გათვალისწინებული იქნება სამკვიდროს განაწილებისას. მოპასუხის წარმომადგენელთა განმარტებით, სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო პრეზუმფციის ფარგლებში ამგვარად მოწესრიგება, მემკვიდრეობითი სამართლის ბუნებისა და პრინციპების გათვალისწინებით, მიეკუთვნება პარლამენტის საქმიანობის დასაშვები მიხედულების ფარგლებს.

14. დასაჩუქრებული პირის უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ მას გაუმართლებლად არ ეზღუდება კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება. ერთი მხრივ, ჩუქების ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, იგი ისედაც მიიღებს ქონებას სამკვიდრო მასიდან მემკვიდრეობის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში, არ ხდება მამკვიდრებელთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი საკუთრების უფლების გაუქმება. იგი რჩება მესაკუთრედ და საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია განკარგოს ნაჩუქარი ქონება. საერთო ჯამში კი, სადავო ნორმის ამგვარი შინაარსით არსებობა, უზრუნველყოფს კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის წილთა სამართლიან განაწილებას.

15. ამასთან, მოპასუხე მხარის განმარტებით, გასაჩივრებული ნორმით დადგენილი სამკვიდროს გახსნამდე არსებული 5 წლიანი ვადა არის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც, კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის ივარაუდება ეკონომიკური ხასიათის ერთიანობისა და ერთობლივი საოჯახო მეურნეობის არსებობა. სწორედ ამ დროს, კანონისმიერი მემკვიდრისათვის რაიმე სახის ნივთის გადაცემა გულისხმობს სხვა პოტენციურ, ერთი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეთა წილის ფაქტობრივად შემცირებას, შესაბამისად, მათთვის კუთვნილი წილისთვის რაიმეს მოკლებას. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება სამკვიდროს სამართლიანი განაწილების პრინციპს, რომელიც სადავო ნორმით მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს.

16. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული რეგულაცია ადგენს გონივრულ ბალანსს ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის და კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. მოპასუხე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგებასა და იურიდიულ დოქტრინას.

18. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21⁴ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, №1337 კონსტიტუციურ სარჩელზე, საქართველოს მოქალაქეებმა - ქეთევან კვენეტაძემ, ანი ბუკიამ და ქეთი ელენიძემ წარმოადგინეს სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება.

19. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მითითებულია, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, სახელმწიფო გაუმართლებლად ერევა მამკვიდრებელსა და დასაჩუქრებულ მემკვიდრეს შორის არსებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. წერილობითი მოსაზრების ავტორთა პოზიციით, მამკვიდრებელმა მის სიცოცხლეში, კონკრეტული ქონების განკარგვით, გამოხატა ნება, რომ აღნიშნული ქონება არ გათვალისწინებულიყო კანონისმიერ მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გაყოფისას. კანონმდებელი კი იმ პირობებში, როდესაც მამკვიდრებელს არ გამოუვლენია შესაბამისი ნება, უსაფუძვლოდ ახდენს დასაჩუქრებული მემკვიდრის წილის შემცირებას სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში მისთვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ღირებულების ფარგლებში. საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად სასამართლოს მეგობარი მიმართავს სადავო ნორმის სისტემურ ანალიზს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით დადგენილ მოწესრიგებასთან მიმართებით, ასევე, ეყრდნობა გერმანულ საკანონმდებლო რეგულირებას და რელევანტურ იურიდიულ დოქტრინას.

20. ზემოხსენებული არგუმენტაციიდან გამომდინარე, სასამართლოს მეგობრის განმარტებით, სადავო



ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

21. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21⁴ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, №1337 კონსტიტუციურ სარჩელზე ირაკლი ონიანმა წარმოადგინა სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება.

22. სასამართლოს მეგობრის განმარტებით, სადავო ნორმით კანონმდებელი ცდილობს, დაიცვას იმ კანონისმიერ მემკვიდრეთა ინტერესები, რომლებიც მამკვიდრებლის მიერ მის სიცოცხლეში არ ყოფილან დასაჩუქრებულნი. კერძოდ, მისი მიზანი არის, რომ არ მოხდეს სამკვიდრო ქონებიდან ისეთი ქონების გამოცალკევება, რომელზეც, პოტენციურად, შესაძლოა მას წარმოშობოდა მემკვიდრეობის ინსტიტუტიდან მომდინარე უფლებები.

23. წერილობითი მოსაზრების თანახმად, საკუთრების კონსტიტუციური უფლების შინაარსი მოიცავს მესაკუთრის ნების თავისუფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი ქონების მომავალი. სადავო ნორმით მამკვიდრებლის სიცოცხლეში გამოხატულ ქონების გაჩუქების ნებას შემოფარგლავს ვადით და ამ ვადის ფარგლებში ახდენს მამკვიდრებლის მიერ გამოხატული თავისუფალი ნების კორექტირებას. გარდა ამისა, სასამართლოს მეგობარი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა ანდერძით მემკვიდრეობას ანიჭებს უპირატესობას კანონისმიერ მემკვიდრეობასთან მიმართებით, ისევე, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის კანონით განსაზღვრული წესით სამკვიდრო ქონების გადანაწილება მოაზრებულია როგორც მამკვიდრებლის სავარაუდო ნება და სწორედ ამგვარად სავარაუდოდ ჩათვლილი ნება, სადავო ნორმის საფუძველზე, აღემატება მამკვიდრებლის მიერ მის სიცოცხლეშივე გამოხატულ თავისუფალ ნებას.

24. წერილობითი მოსაზრების ავტორის პოზიციით, ამგვარი მოწესრიგებით, ხდება ჩარევა როგორც მამკვიდრებლის თავისუფალ ნებაში, ისე მემკვიდრის საკუთრების უფლებაში და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საკუთრების უფლებით დაცული სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი განამტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების და მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32).

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას, ხოლო, მეორე მხრივ, განამტკიცებს ძირითად უფლებას. მისი ფუნქციაა, ცალკეულ პირს შეუნარჩუნოს თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში და ამით შესაძლებლობა მისცეს პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

3. ამავე დროს, საკუთრების უფლება წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების



განვითარების საყრდენს, რომელსაც ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლება და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შემენის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

2. სადავო ნორმის შინაარსისა და მოსარჩელის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის თანახმად, „სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან, საჩუქრის სახით, მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში“. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ დასახელებული დებულება გაუმართლებლად ერევა მამკვიდრებელსა და პოტენციურ კანონისმიერ მემკვიდრეს შორის არსებულ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში და სამკვიდროს გაყოფისას მას მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისთვის უკავშირებს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, ამცირებს რა სამკვიდრო მასაში დასაჩუქრებულის წილს ნაჩუქარი ქონების ღირებულების ფარგლებში. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მოსაზრებით, იმ მემკვიდრეთა უფლებები, რომლებსაც მამკვიდრებლისგან ჩუქებით ქონება არ მიუღიათ, დაცულია როგორც ანდერძის არარსებობის პირობებში ქონების თანაბრად განაწილებით, ისე ანდერძის არსებობის პირობებში სავალდებულო წილის მიღებით. შესაბამისად, სადავო ნორმა გაუმართლებლად ზღუდავს როგორც მამკვიდრებლის სახელშეკრულებო თავისუფლებას, ასევე დასაჩუქრებული მემკვიდრის საკუთრების უფლებას, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

5. საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, უნდა განსაზღვროს სადავო ნორმის შინაარსი, რათა მოახდინოს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ფაქტისა და ფარგლების იდენტიფიცირება, ხოლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასოს შეზღუდვის კონსტიტუციურობა. სადავო ნორმის ტექსტობრივი განმარტება ცალსახად მიუთითებს, რომ ნებისმიერი დასაჩუქრებული მემკვიდრე, რომელმაც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე 5 წლის განმავლობაში მისგან მიიღო ქონება, ვალდებულია, სამკვიდროს გაყოფისას, ეს ქონება ჩაითვალოს საკუთარ წილში. ამასთან, სადავო ნორმა არ ითვალისწინებს მამკვიდრებლის ნებას იმასთან დაკავშირებით, სურდა თუ არა მას გაჩუქებული ქონება ჩათვლილიყო მემკვიდრის წილში.

6. სადავო ნორმის ტექსტობრივ განმარტებასთან ერთად მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ მისი ის შინაარსი, რომლითაც იგი საერთო სასამართლოების პრაქტიკაში გამოიყენება. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე: „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველ შემთხვევაშიც, სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას იხელმძღვანელებს, გასაჩივრებულ რეგულაციასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებებით.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სადავო ნორმის შინაარსის განმარტებასა და მის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული მიდგომა არის ერთგვაროვანი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2010 წლის 23 მარტის №ას-1058-1325-09 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლით სამკვიდროს გაყოფისას



თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მანსაჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისგან სამკვიდროს გახსნამდეხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ნორმით, სამკვიდროს გაყოფისას მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულება გაითვალისწინება, რომელიც მამკვიდრებელმა სიცოცხლეში აჩუქა მას. ნაჩუქარი ქონების ღირებულების გათვალისწინება ნიშნავს მემკვიდრის წილის სწორედ ამ ღირებულების ფარგლებში შემცირებას, ანუ თუ მემკვიდრემ ჩუქებით მიიღო 1000 ლარის ქონება, მისი წილი სამკვიდროში სწორედ ამ ქონებით შემცირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებულ ქონებასთან დაკავშირებით რაიმე სხვა დათქმას კანონი არ ადგენს. სამკვიდროში ნაჩუქარი ქონების შეტანა უზრუნველყოფს სხვა მემკვიდრეების ინტერესების დაცვას იმ მიმართებით, რომ ადრე დასაჩუქრებულ მემკვიდრეს საჩუქრის ღირებულება მისაღებ სამკვიდროში ჩაეთვლება და მისი წილი ამ ფარგლებში შემცირდება, რაც პროპორციულად სხვა მემკვიდრეთა წილის გაზრდას გამოიწვევს“.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით განსაზღვრული წესი არ ავალდებულებს დასაჩუქრებულ მემკვიდრეს, სამკვიდროს გაყოფისას მის მიერ საჩუქრად მიღებული ქონების უკან დაბრუნებას. აღნიშნული ქონება რჩება დასაჩუქრებულ მემკვიდრესთან, რომელიც წარმოადგენს მის მესაკუთრეს, ხოლო ამ ქონების მემკვიდრის წილში ჩათვლა გულისხმობს თანამესაკუთრეთა სასარგებლოდ მის მიერ მისაღები წილის სწორედ ამ ქონების ღირებულებით შემცირებას. ამდენად, განსახილველი დავის ფარგლებში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას საჩუქრის სახით მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრისთვის სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების მქონე სუბიექტის საკითხი. საკუთრება ამ დროს სრულად უნარჩუნდება დასაჩუქრებულ მემკვიდრეს.

9. სადავო ნორმის პრაქტიკაში ამგვარად მოქმედების გათვალისწინებით, მოსარჩელე, როგორც კანონისმიერი მემკვიდრე, ვალდებულია მამკვიდრებლისგან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება სამკვიდროს გაყოფისას ჩაითვალოს საკუთარ წილში. ამ თვალსაზრისით, გასაჩივრებული რეგულაცია, მართალია, არ ავალდებულებს საჩუქრის სახით მიღებული ქონების სამკვიდროში დაბრუნებას, თუმცა ამცირებს მის წილს სამკვიდრო მასაში, რის შედეგადაც, იგი ვერ იღებს მემკვიდრეობის გახსნის მომენტში სამკვიდრო მასიდან სხვა თანამემკვიდრეების თანაბარი ოდენობის ქონებას. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი წესი საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცული საკუთრების უფლების შეზღუდვას წარმოადგენს.

3. უფლების შეზღუდვის გამართლება

10. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკუთრების უფლება მისი მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს იმგვარ საკუთრებით წესრიგს, რომელშიც მესაკუთრის კერძო ინტერესი საჯარო ინტერესებთან მიმართებით აბსოლუტური, უპირობო უპირატესობით სარგებლობს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამოქალაქო სასამართლებრივი წესრიგის შექმნისას აუცილებელია, მიღწეულ იქნეს სწორი ბალანსი საკუთრების უფლებასა და სხვა უფლებებს/საჯარო ინტერესებს შორის. აუცილებელია, „მესაკუთრემ გაითავისოს, რომ არა მხოლოდ მას აქვს ინტერესები, არამედ იმყოფება სხვა ინტერესთა გარემოცვაში, რომელთაგანაც ის იზოლირებული არ არის და სადაც აუცილებელია ინტერესთა გონივრული ბალანსის დაცვა. ამ ფონზე კანონმდებელი უფლებამოსილია, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების დაცვით, დაადგინოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საკუთრების შინაარსსა და ფარგლებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). შესაბამისად, საკუთრების უფლების რეგულირებისას აუცილებელია, მოხდეს, ერთი მხრივ, ძირითადი უფლებიდან მომდინარე, ხოლო, მეორე მხრივ, საპირისპიროდ არსებულ საჯარო ინტერესთა სამართლიანი დაბალანსება. ამ პროცესში სახელმწიფოს მიერ დასახული საჯარო მიზნისთვის დაუსაბუთებელი უპირატესობის მინიჭება არ შეესაბამება საკუთრების შესახებ დადგენილ კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგს.

11. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დადგენილია საკუთრების



უფლების შეზღუდვის ფორმალური და მატერიალური კრიტერიუმები. დასახელებული კონსტიტუციური დებულების მიხედვით, საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმალური მოთხოვნა არის, რომ საჯარო ინტერესით განპირობებული უფლების შეზღუდვა რეგლამენტირებულ იქნეს კანონით. განსახილველ შემთხვევაში ექვეყნე არ დგას სადავო ნორმის ფორმალური კონსტიტუციურობა იმდენად, რამდენადაც იგი სწორედ კანონით არის დადგენილი.

12. ამავდროულად, საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი ლეგიტიმაციისათვის, მხოლოდ საჯარო ინტერესის არსებობა საკმარისი არ არის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების შეზღუდვა საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავ დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60). ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო ნორმის შესაბამისობა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან.

3.1 საჯარო ლეგიტიმური მიზანი

13. საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, თუ რა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ემსახურება სადავო ნორმა, ვინაიდან „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია ნორმის შემდგომი შემოწმების გარეშე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27).

14. მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანს, ფართო გაგებით, წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ხელშეწყობა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს, კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის წილთა სამართლიანი განაწილების პრინციპის შესაბამისად, სხვა თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვას.

15. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ზოგადად, სახელმწიფოს მიდგომა, რომ კერძო პირთა შორის ურთიერთობის დარეგულირებისას საკითხი მოაწესრიგოს ორივე მხარეს არსებულ კერძო ინტერესთა მაქსიმალურად დაბალანსებისა და სამართლიანობის საწყისებზე, შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს იმგვარ მიზნად, რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოსთვის ქმნის კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევის საფუძველს. ამდენად, განსახილველ საქმეშიც, თანაბარი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო მასიდან წილთა თანაბრად და სამართლიანად განაწილებას საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს იმგვარ ლეგიტიმურ ინტერესად, რომლის გამოც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა.

3.2 გამოსადეგობა

16. სადავო ნორმის საფუძველად ლეგიტიმური საჯარო მიზნის მითითება არ წარმოადგენს მისი კონსტიტუციის შესაბამისად მიჩნევის თვითკმარ საფუძველს. აუცილებელია, რომ უფლების შემზღუდველი ღონისძიება ასევე წარმოადგენდეს მისი მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. გამოსადეგობის მოთხოვნის დაკმაყოფილებულად მიჩნევისთვის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). შესაბამისად, გამოსადეგობის კომპონენტი მიიჩნევა დაკმაყოფილებულად, როდესაც



კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება ობიექტურად მიმართულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ.

17. გასაჩივრებული წესის მოქმედების პირობებში დასაჩუქრებული მემკვიდრე სამკვიდროს გახსნისას ვალდებულია, საკუთარ წილში ჩაითვალოს მამკვიდრებლის მიერ სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში ნაჩუქარი ქონება. აღნიშნულის შედეგად, ამავე ქონების ღირებულების ფარგლებში, მცირდება მისი წილი სამკვიდროს მასაში, რაც იწვევს სხვა მემკვიდრეთა წილის პროპორციულ ზრდას. შესაბამისად, სადავო რეგულირება მიმართულია მამკვიდრებლის სიცოცხლის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული ქონების თანამემკვიდრეებს შორის თანაბრად განაწილების ხელშეწყობისკენ. კანონმდებელი თანამემკვიდრეთა შორის ქონების ამგვარ განაწილებას მიიჩნევს სამართლიანად. საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ კანონმდებლის აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია, ჩაითვალოს მემკვიდრეთა შორის ქონების სამართლიანად განაწილების პრინციპის დაცვისკენ მიმართულ ქმედებად.

18. ამდენად, სადავო ნორმა შეიძლება ჩაითვალოს იმგვარ საშუალებად, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმურ მიზნად დასახელებული ინტერესის მიღწევისაკენ.

3.3 აუცილებლობა

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). შესაბამისად, აუცილებლობის, როგორც თანაზომიერების ელემენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად მიიჩნევა, როდესაც არ არსებობს სხვა, კონსტიტუციური უფლების ნაკლებად მზღუდველი ღონისძიება, რომელიც იმავე ეფექტურობით იძლევა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

20. სადავო რეგულაციის მიზანია, შექმნას ისეთი ნორმატიული წესრიგი, რომლის ფარგლებშიც, მამკვიდრებლის მიერ მისი სიცოცხლის ბოლო 5 წლის განმავლობაში დასაჩუქრებული ერთ-ერთი კანონისმიერ მემკვიდრის თანამემკვიდრეები დაცული იქნებიან მათი წილის შემცირებისგან და მიღწეული იქნება წილთა სამართლიანი განაწილების პრინციპის პრაქტიკული რეალიზება. შესაბამისად, კანონმდებელი სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში მამკვიდრებელსა და პოტენციურ კანონისმიერ მემკვიდრეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებას უკავშირებს კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს, ადგენს რა დასაჩუქრებული მემკვიდრის ვალდებულებას, საკუთარ წილში ჩაითვალოს ნაჩუქარი ქონების ღირებულება. აღნიშნული კი იწვევს სამკვიდრო მასაში მისი წილის შემცირებას ამავე ქონების ღირებულების ფარგლებში.

21. აშკარაა, რომ სადავო ნორმის არარსებობის პირობებში, ნაკლებად მზღუდველი ღონისძიების გამოყენებით, ვერ მიიღწეოდა დასახელებული ლეგიტიმური მიზანი. კერძოდ, სამკვიდროს გაყოფისას, თუ არ მოხდება მამკვიდრებლის მიერ ერთ-ერთ კანონისმიერ მემკვიდრესთან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში დადებული ჩუქების ხელშეკრულების მხედველობაში მიღება, აღნიშნული ყოველთვის გამოიწვევს თანამემკვიდრეებს შორის მამკვიდრებლის ქონების ასიმეტრიულ განაწილებას. ასეთ ვითარებაში, ქონების უსასყიდლოდ განკარგვის შედეგად, ყოველთვის შემცირდება მამკვიდრებლის ქონება, რაც სამკვიდროს გახსნისას უარყოფითად აისახება თანამემკვიდრეთა მიერ მისაღები წილის ოდენობაზე.

22. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლები ინტენსივობით შემზღუდველი და მსგავსად ეფექტური საშუალება. შესაბამისად, სადავო ნორმა პასუხობს აუცილებლობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

3.4 პროპორციულობა ვიწრო გაგებით

23. იმისთვის, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა მიჩნეულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისად, აუცილებლობის კომპონენტთან ერთად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობას ვიწრო გაგებით. აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნაა, რომ „უფლების



შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

24. განსახილველი საქმის ფარგლებში სადავო ნორმით მოწესრიგებული საკითხი წარმოადგენს წმინდად კერძოსამართლებრივ ურთიერთობას, სადაც სახელმწიფოს მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ საკითხის დარეგულირებით და ის არ გვევლინება ურთიერთობის მხარედ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას საკანონმდებლო ორგანოს მიხედულების ფართო არეალი გააჩნია მკაცრად საჯაროსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობის მოწესრიგებასთან შედარებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-28). შესაბამისად, ამ სფეროში კანონმდებელი გაცილებით თავისუფალია, ვიდრე საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას. თავის მხრივ, აღნიშნული არ გულისხმობს კანონმდებლის სრულ თავისუფლებას და კონსტიტუციურსამართლებრივ ფარგლებს მიღმა მოქმედების შესაძლებლობას. ამდენად, კანონმდებლის ვალდებულებაა, მოახდინოს შეპირისპირებულ ინტერესთა გონივრული დაბალანსება იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, დაცულ იქნეს თანამემკვიდრეთა ინტერესი - მოხდეს მათ შორის სამკვიდრო ქონების სამართლიანი განაწილება, ხოლო, მეორე მხრივ, დასაჩუქრებული მემკვიდრის საკუთრების ინტერესი.

25. მნიშვნელოვანია, გაანალიზებულ იქნეს ის საკანონმდებლო ლოგიკა, რომელიც სადავო მოწესრიგებას უდევს საფუძვლად. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხე მხარის პოზიციას, რომ სადავო ნორმას საფუძვლად უდევს პრეზუმფცია, რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობითი სამართლის სპეციფიკიდან მომდინარეობს. კერძოდ, განსხვავებით ანდერძისმიერი მემკვიდრეობისგან, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს, იმავე ხარისხით არ იკვეთება მამკვიდრებლის ნამდვილი ნება მისი ქონების შემდგომ სამართლებრივ ბედთან დაკავშირებით. სწორედ ამ დროს, კანონმდებელი ეყრდნობა პრეზუმფციას, რომ მამკვიდრებელს სურს, თანაბრად მოეპყროს ყველა თანაბარი რიგის მემკვიდრეს და არ მოხდეს მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს უსამართლო, ასიმეტრიული განაწილება. სწორედ ამგვარ დაშვებას ეფუძნება რეგულაცია, რომელიც დასაჩუქრებულ მემკვიდრეს ავალდებულებს, საკუთარ სამკვიდრო წილში ჩაითვალოს ქონება, რომელიც მან საჩუქრად მიიღო მამკვიდრებლის სიცოცხლის ბოლო 5 წლის განმავლობაში.

26. ამ დროს კანონმდებელი ვარაუდობს, რომ მამკვიდრებლის სავარაუდო ნების შესაბამისად მოქმედებს, რომლის სურვილსაც თანაბარი რიგის მემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონებიდან თანაბარი წილის მიღება წარმოადგენს.

27. ზოგადად, მემკვიდრეობითი სამართლისთვის, ამ სამართლებრივ ურთიერთობათა ბუნებიდან გამომდინარე, არ არის უცხო საკანონმდებლო პრეზუმფციის საფუძველზე საკითხის მოწესრიგება. ერთ-ერთ მაგალითად შესაძლოა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი, რომელიც წილთა გათანაბრებას ითვალისწინებს. ამ დროს, სამკვიდროს მისაღებად მოწვეული მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, „წილთა გათანაბრებისათვის გაყოფამდე სამკვიდროს მიათვალონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრებელს სხვა რამ არ დაუდგენია“. როგორც თავად ნორმიდან იკვეთება, იგი მიემართება მემკვიდრეთა შეზღუდულ წრეს, კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს. ამავდროულად, ეს უკანასკნელი არ განსაზღვრავს დროის პერიოდს და ხსენებული ვალდებულება მემკვიდრეს გააჩნია, მიუხედავად იმისა, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე რა დროით ადრე მიიღო მისგან ქონება. დასახელებულ ნორმასთან მიმართებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „...კანონის განსახილველი დათქმა ნათლად ასახავს ქვეყანაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციულ საოჯახო ურთიერთობას, რომლითაც მშობელი სიცოცხლეშივე ოჯახისგან დამოუკიდებლად მცხოვრებ ერთ-ერთ შვილს, როგორც ოჯახის წევრს და მის მემკვიდრეს, თავისი ქონებიდან გარკვეულ ნაწილს გადასცემს (გამოუყოფს). კანონის აღნიშნული დანაწესი მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს - ნორმის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტები გარდაცვლილი მშობლის შვილები არიან, რასაც ადასტურებს ნორმაში არსებული



28. ზოგადად, მსგავს საკანონმდებლო პრეზუმფციაზე დამყარებული მოწესრიგება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მემკვიდრეობითი სამართლის რეგულირებისთვის, თუმცა ეს გარემოება, თავისთავად, არ მიუთითებს სადავო ნორმის თავსებადობაზე საქართველოს კონსტიტუციასთან. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის დაშვება მამკვიდრებლის სავარაუდო ნებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, იყოს რაციონალური და გამართლებული, აუცილებელია, გაანალიზდეს კონკრეტულ ვითარებაში, რამდენად ახდენს საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება ინტერესთა მაქსიმალურად დაბალანსებულ გადაწყვეტას და ხომ არ უშვებს მოცემული ნორმატიული ჩარჩო ერთ მხარეს არსებული ინტერესის უზრუნველყოფას მეორე მხარის ინტერესების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.

29. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სადავო ნორმა ეხება ქონებას, რომელიც ჩუქების ფორმით იქნა გასხვისებული მამკვიდრებლის სიცოცხლეში, მისივე ნებით, კონკრეტულ მემკვიდრეზე გარდაცვალებამდე 5 წლის განმავლობაში. ჩუქების ხელშეკრულება, თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, არის საკუთრების განკარგვის ერთ-ერთი უსასყიდლო ფორმა, რა დროსაც მჩუქებელი დასაჩუქრებულ პირს გადასცემს ქონებაზე საკუთრებას. განსახილველი საქმისთვის რელევანტურია იმ გარემოების გამოკვეთა, რომ სადავო ნორმის ფარგლებში საუბარია ჩუქების ისეთ ხელშეკრულებაზე, რომლის სანდოობის მიმართ არ არსებობს რაიმე სახის ეჭვი. ამდენად, სახეზეა მამკვიდრებლის მხრიდან ცალსახად გამოხატული ნამდვილი ნება, მისი სიცოცხლის განმავლობაში ქონების განკარგვის შესახებ.

30. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისგან განსხვავებით, არ იკვეთება მამკვიდრებლის ნება, წინასწარ, სიცოცხლეშივე გადასცეს სამკვიდროს წილი მის რომელიმე შვილს. აღნიშნულის საპირისპიროდ, აშკარაა, რომ მამკვიდრებელი გამოხატავს ნებას, ქონების ჩუქების გზით გასხვისების და, შესაბამისად, მისი სამკვიდროდან გატანის შესახებ. ამავე დროს, ქონების გაჩუქების მომენტში მამკვიდრებლისთვის უცნობია, თუ როდის მოხდება სამკვიდროს გახსნა და შესაბამისად, გავრცელდება თუ არა მასზე სადავო ნორმით დადგენილი, ქონების ღირებულების დასაჩუქრებული მემკვიდრის წილში ჩათვლის წესი. გარდა ამისა, ქონების გაჩუქება ხდება პირზე, რომელიც შესაძლოა, არც იყოს მემკვიდრე ან წინასწარ განსაზღვრადი არ იყოს მისი უფლებრივი სტატუსი და სავარაუდო ქონებრივი უფლებები სამკვიდროს გახსნისას (მაგალითად, სხვადასხვა რიგის მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან ქონების მიღება დამოკიდებულია სამკვიდროს გახსნის დროს წინა რიგის მემკვიდრის არსებობაზე). ქონების გაჩუქებისას მამკვიდრებელს, შესაძლებელია, ჰქონდეს ან არ ჰქონდეს, ამ გარიგებით მომავალში სამკვიდროში მემკვიდრის წილებზე გავლენის მოხდენის სურვილი. თუმცა, არაფერი მიუთითებს, რომ მინიმუმ, უმრავლეს შემთხვევაში მსგავსი სურვილი არსებობს. ზოგადად, როდესაც ადამიანები გარკვეულ ქონებას აჩუქებენ სპეციალური მითითების გარეშე, როგორც წესი, ივარაუდება, რომ გაჩუქება არ უკავშირდება რაიმე დამატებით პირობას. პირის ნების პრეზუმირება შესაძლებელია გონივრული იყოს იმ პირობით, რომ იგი ეფუძნება გარკვეულ გამოცდილებას. როდესაც დასაბუთებადია, რომ პრეზუმირების შედეგად დამდგარი შედეგი, როგორც წესი, ემთხვევა მსგავს სიტუაციებში მოსალოდნელ ქცევას. სადავო ნორმა კი საწინააღმდეგოდ მოქმედებს და გამჩუქებლის მითითების გარეშე უკავშირებს ჩუქების ფაქტს დამატებით შედეგებს. მსგავსი დაშვება მნიშვნელოვნად ემსგავსება ქონების განმკარგავის ნების კონტროლს. ამავე დროს, კანონმდებელი საკითხის მოწესრიგებისას საკანონმდებლო პრეზუმფციას ეყრდნობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია მამკვიდრებლის ნების დადგენა (მისი გარდაცვალების გამო), არამედ მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი ცოცხალია და ახორციელებს საკუთრების უფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - ქონების გასხვისებას.

31. საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების სწორი რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მესაკუთრის ნების თავისუფლების პატივისცემას. თანამემკვიდრეთა შორის სამკვიდრო მასის სამართლიანად განაწილება წარმოადგენს ღირებულ სიკეთეს, თუმცა ამ პროცესში დაუშვებელია, კანონმდებელი მოქმედებდეს მარტოოდენ საკუთარი ვარაუდის საფუძველზე და უგულვებელყოფდეს მამკვიდრებლის, როგორც ქონების მესაკუთრის მიერ გამოვლენილ ნებას ქონების გაჩუქებაზე. კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებში კანონმდებლის ვარაუდი მესაკუთრის ნებასთან დაკავშირებით, უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ დაშვებას, რომ მამკვიდრებლის სურვილი გარკვეული ხარისხით, როგორც წესი, კანონით დადგენილ პრეზუმფციას დაემთხვეოდ.

32. მაშინ, როდესაც მამკვიდრებლის ქმედების გონივრული შეფასება აშკარად ქონების უპირობოდ



ჩუქების მიზანზე მიუთითებს, ამგვარი ნების საკანონმდებლო პრეზუმფციით ჩანაცვლება მოკლებულია ლოგიკურ ახსნას. სადავო ნორმა მამკვიდრებელს აკისრებს არასაჭირო ტვირთს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს ზომები (მაგალითად, შეადგინოს და ყოველი კონკრეტული გაჩუქებისას ცვალოს ანდერძი), რათა ქონების გაჩუქებამ გავლენა არ მოახდინოს სამომავლოდ სამკვიდროს გაყოფაზე. სამოქალაქო კანონმდებლობა ორიენტირებული უნდა იყოს მესაკუთრის ნების პატივისცემაზე, სამართლებრივ შედეგებში მის სწორ ასახვაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, კანონმდებელი პრეზუმირებს, რომ მამკვიდრებელის ნება, რეალურად მის მიერ გამოხატული ნების საპირისპიროა. ამგვარი პრეზუმფცია ემსგავსება მამკვიდრებლის, როგორც ქონების მესაკუთრის ნების უგულებელყოფას, ამავე დროს, სახეზე არ არის ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნების დამლევას გაამართლებდა. სადავო ნორმა არ არეგულირებს შემთხვევას, როდესაც ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დასაბუთებულია მამკვიდრებლის თავისუფლების შეზღუდვის მიზანი ან საჭიროება.

33. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო რეგულირება არ ადგენს გონივრულ ბალანსს მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ქონებრივ უფლებებსა და საჯარო ინტერესებს შორის. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ქონების ჩუქების დროს, ნაჩუქარი ქონების ღირებულების სამკვიდრო წილში ჩათვლის თაობაზე მამკვიდრებელის ცხადად გამოხატული ნების გარეშე ითვალისწინებს მემკვიდრისთვის საჩუქრის სახით გადაცემული ქონების ღირებულების ამ მემკვიდრის სამკვიდრო წილში ჩათვლას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლისა და 45-ე მუხლის საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1337 („ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს და არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ქონების ჩუქების დროს, ნაჩუქარი ქონების ღირებულების სამკვიდრო წილში ჩათვლის თაობაზე მამკვიდრებელის ცხადად გამოხატული ნების გარეშე ითვალისწინებს მემკვიდრისთვის საჩუქრის სახით გადაცემული ქონების ღირებულების ამ მემკვიდრის სამკვიდრო წილში ჩათვლას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.
6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს



ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

თეიმურაზ ტულუში

ირინე იმერლიშვილი

მანანა კობახიძე

თამაზ ცაბუტაშვილი

